ორშაბათი, 17 ოქტომბერი № 41

ფასი გაზეთისა წლიურათ—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—2 მან 3 თვით—1 მან.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ., უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

წელიწადი 1911 პირველი

თ ე ბ ი

ორშაბათი, 17 ოქტომბერი № 41

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპოდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 12 საათამდის რედაქციაში (**Дворцовая ул. д. Д. САРАДЖЕВА № 6.**) ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.

მიიღება ხელის მოწერა

1911 წლისათვის

გაზეთ თემზე

ფასი გაზეთისა:

წლიურათ	2 მ. 50 კ.
ნახევარი წლით	1 მ. 25 კ.
სამი თვით	1 მ.

განცხადებათა ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი	15 კ.
უკანასკნელ გვერდზე	10 კ.
ტექსტის შუაგულს	20 კ.
სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა	3 მ.

რედაქტორ-გამომცემელი **ბრიგოლ დიასამიძე.**

რედაქცია ღიაა 11 ს.—12 ს. ყოველ დღე.

რედაქციის და კანტორის ადგილი: **Дворцовая ул., д. Д. САРАДЖЕВА № 6.**

იყიდება ფხვნილი

„სანიტარი“

სწყვეტს ბაღლინჯოს, რწყილს და საზოგადოდ ყველა მწერს.

დარიგება ყველასათვის უფასოდ.

პირველსარისხოვანი რესტორანი **„ანონა“**

„არტისტულ საზოგადოების“ შენობა.

პატრონი—**იაკ. ტ. ბოგდარენკოა.**

ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 5 საათამდე და საღამოს 10 საათიდან ნაშუალამევის 2 საათამდე **უკრავს** იტალიური სიმებიანი ორკესტრი. მონაწილეობას ღებულობენ მომღერალი—ქალები—ქ.—ბ-ნნი საკო და მარიამ იდოანდეზე, ბარიტონი—ჯელლარო ოლანდეზე, **საკკოს ლოტბარობით.**

საუზმეები. დღისით 11 საათიდან—1 საათამდე—80 კაპ.
სადილები, 1 საათიდან—საღამოს 5 საათამდე:
2-ფერისა—60 კაპ.
3-ფერისა—90 კაპ.
4-ფერისა—1 მან. 20 კაპ.

საჭმლები ევროპიული და აზიური. **ბილიარდი.**

არის აგრეთვე ცალკე კაბინეთები

რესტორანი „კაფე-პარიზი“

ქართული თეატრის ეზოში (სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო, ცხელი „პიროჟკები“ სხვა და სხვ.

ბუტერბროდები, ხაჭაპური.

საუზმე პორციობით 25 კ.—50 კაპეიკამდე.

სადილები: 2 ფერი—50 კ. 3 ფერი—70 კ. 4 ფერი—1 მან

მინერალური წყლები

ღვინო, არაყი, მაგარი სასმელები სხვა და სხვა ქარხნების ფული ბოთლებით და ჭიქებით.

ცხელი პორციები, წვენი, შემწვარი. შეიძლება **საჭმელებიც მოთხოვნა ცალკე კარტითაც.** თვიურად შელავათიანი პირობებია. ფასი ზომიერია. სრული სისუფთავე წესიერებ.

პატრონი—**ტოფურია.**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე **ავათმყოფთათვის**

ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12½ ს.-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.
ბ. ა. პოკოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა 11½—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ. სნეულ.
ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა, შინაგანი ავად. 11½—12 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოვ. დღე კვირის გარდა 1—2. ქირურგ. და ქალებ. სნეულ.
ზ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე 1—2 ს. შინაგ. დაბავშვ.
ბ. ვ. სოგბოლევსკი—ყოვ. ღღე კვირის გარდა 2—3-დე ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყავილის აცრა და ძიძების გასინჯვა.

ფასი რჩეულისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

ახალი კლუბი

სამშაბათს, 18 ოქტომბერს

პირველი საოჯახო სალამო

საზამთრო თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება ქართულად:

„ვაის გავეუარე, ვუის შევეუარე“

კომედია—ფარსი სამ მოქმედებად, გუნიასი

ადგილების ფასი თეატრში: 20 კაპ.—50 კაპ.-მდე. **დასაწყისი საღ. 9 საათ.**

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელად: მამაკაცები—1 მ., მანდილოსნები—50 კ., სტუდენტები—25 კ. გალერეაში შესვლა ყველას შეუძლიან.

წარმოდგენის შემდეგ **ლოტო** ანტრაქტების და წარმოდგენის შემდეგ დაუკრავს კლუბის ორკესტრი

ანონსი

ოთხშაბათს და პარასკევს, 19 და 21 ოქტობერს, **იაფი ლოტო.**

ამერიკის ნამდვილი ფეხსაცმელი

მამაკაცებისათვის

Hanan Sou

New Jork

ძმ. ალუვანგეზი.

სასახლის ქუჩა, **ტელეფ.** 477.

დაიბეჭდა და დარიგდა გასასყიდათ

„ფუტკარი და მეფუტკრეობა“

აპოლონ წულაძის მიერ შედგენილი, გამოცემა კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებისა. წიგნი დაჯილდოებულია **ოქროს მედლით.**

წიგნი დასურათებულია—შეიცავს 360 გვერდს და ღირს **80 კაპ.**

დაკვეთა შეიძლება ტფილისში: ქ. შ.-ვ. კომერციელებულ საზოგადოების წიგნის მაღაზიისაგან (სასახლის ქუჩა). თავ. ბდ. მის. დოროთქოფანიძისაგან. (ბაქოს ქუჩა № 6). **ნარდათ** მეიდგელებს ჩვეულებრივი % დათმობა.

თბილისი, 17 ოქტომბერი.

დღეს დიდებული დღეა... **17 ოქტომბერი**... ვის არ გაახსენდება ეს საუკეთესო წამი **ახალი რუსეთის** ცხოვრებაში?..

მაგრამ... დღეს რა გვეთქმის? ჩვენ საუბედურეროდ ისევ „მკვადრ წერტილზე“ ვართ შეჩერებული და აქედან ჯერ-ჯეროობით ვერ დავძრულვართ.

მაგრამ ჩვენი დღევანდელი მომენტის უკეთესი დამახასიათებელი თვით ის პირია, რომელსაც საზოგადოების აზრი აღიარებს აწ უკვე „დაკარგულ დოკუმენტად“ წოდებულ **საბუთის** შემქმნელად.

ავალაპარაკოთ თვით იგი...

აი რას ამბობს, სხვათა შორის, გრ. ვიტტე თავის უკანასკნელ დიდად საინტერესო წერილში (გაზეთ „რეჩის“ 8 ოქტომბრის ნომერში), რომელიც დაწერილია ალ. გუჩკოვთან პოლემიკის გამო და რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი განათლებული ქვეყნიერობისა.

„მთელმა ქვეყნიერობამ უწყის, რომ ახალი წესწყობილება აღსარებული იყო 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტისაგან და გამოხატული იმ კანონებში, რომელიც იმ დროს გამოიცა ამ მანიფესტის თანახმად, როდესაც მე ვიდექი საიმპერატორო მთავრობის სათავეში. მთელმა ქვეყნიერობამვე იცის აგრეთვე ჩემი განსაკუთრებული და პასტ-საგები მონაწილეობა ამ აქტების შექმნაში, რომელთაც დააფუძნეს „ახალი პოლიტიკური წესწყობილება“.

„იმ რწმენაზე, რომელის შესახებ მაშინ გავბედნიერდი და გაბედვით მოვახსენე ჩემს მბრძანებელს ხელმწიფე იმპერატორს, მე არასოდეს უარი არ მითქვამს. **ამის გახსენება ცხოვრებას მიტკბობს და შეადგენს ჩემს სიამაყეს.**

„ვინ არ იცის, რომ მემარჯვენე რეაქციონერები ყველაფერს, რაც კი გაკეთდა 17 ოქტომბერს და ჩემი მთავარ-მინისტრობის დროს, უყურებენ ცუდის თვალით და თავისი ამ კანონებისადმი სიძულვილი გადმოაქვთ ჩემს პიროვნებაზე, რადგანაც მე ჩვეულებად არა მაქვს ვიზედმე ეჭვების შეტანა უსაბუთოდ და მით უფრო ამ ეჭვების გამომეღავნება, ამიტომ, ჩემის მხრით ვფიქრობ, რომ რეაქციონერები, რომელნიც ჭლამობენ 17 ოქტომბრის გაბათილებას, ფიქრობენ სრულიად გულ-წრფელად. მე იმათ აზრს არ ვიზიარებ. მრწამს, საითკენაც ისინი მიისწრაფიან, ის დამღუპველია მეფისათვის და ჩემი სამშობლოსათვის, მაგრამ მათი აზრი მაინც მესმის: იგი ნათელია და გულწრფელი. მაგრამ რომელ „ახალ წესწყობილებაზე“ ბრძანებს ა. ი. გუჩკოვი, რომლისათვის ვითომ დაილუპა ამ წესწყობილების ნამდვილი მოსარჩლე? რაშია დაცული 17 ოქტომბრის საფუძველნი, რომელნიც გამოსახულნი იყვნენ ჩემი პრემიერობის დროს ამ მანიფესტის შემდეგ გამოქვეყნებულ კანონებში?

„თუ დავიწყეთ ამაზე წერა, მთელი წიგნები უნდა დავწეროთ. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ახლად განახლებულ წესწყობილებაში, რომლის მოსარჩლედ დღეს გამოდის ა. ი. გუჩკოვი ესვენა 17 ოქტომბრის მხოლოდ გვამი, რომ „საკონსტიტუციო რეჟიმის“ დროშის ქვეშ მეფის უფლებას მხოლოდ საზღვრებს ღებდენ, თავის საკუთარი უფლება კი აჰყავდათ უსაზღვრო, აბსოლიუტურ და არაჩვეულებრივ თვითნებობამდე.

„ასეთ პროგრესისტებს იმაზე მეტის სიმპატიით არ ვუყურებ, როგორც გულწრფელ და გულახდილ რეაქციონერებს.

„ამ თემაზე 17 ოქტომბერში ჩემი განსაკუთრებული მონაწილეობის მიღების გამო მე არ ძალმიძს ვილაპარაკო დამშვიდებულად. ამის შესახებ, როგორც სამართლიანად შენიშნა ა. ი. გუჩკოვმა, თავის სიტყვას წარმოსთქვამს ისტორია...

„დასასრულ ვიტყვი შემდეგს: რეაქციონერებმა, ერთის მხრით, და დაღუპულ პრემიერის მომხრეებმა, მეორეს მხრით, გამახსენეს იგივე, რასაც ვგრძნობდი, როდესაც ფრანგების თეატრებში ვუყურებდი ამას წინად „revues“-ებს საჭირ-ბოროტო საგნებზე. როდესაც სცენაზე მტაცებელნი იღებდენ **ჯიოკონდას** და სტოვებდენ მის მაგიერ ცალიერ ძველ კედელს, მაყურებლები ღელდებოდენ და სწუხდებოდენ; მაგრამ, როდესაც მტაცებელნი იღებდენ ჯიოკონდას და მის მაგიერ ჰკიდებდენ ყალბ ჯიოკონდას, შეფერადებულ ღაწვებით და წამლებით მოვლებულ თვალებით, მაშინ მაყურებელთ გული ემღვრეოდათ და ცხარდებოდენ“...

შემქმნელი დიდებული აქტისა, აწ, საზღვარ-გარედ, ბიარიცში მყოფი.

ჩვენ?.. ჩვენ ვკითხულობთ ყველა ამას და მაინც იმედიანად შევყურებთ მომავალს. „აცა, რას გვეტყვის ახალი მთავარ-მინისტრი ამ სესიის დროს და მომავალი ახალი სათათბირო“!...

„სახალხო გაზეთი“ გვაწოდებს თავის თანამშრომლის „ინტერვიუს“ თბილისის გუბერნიის ერთ-ერთ წვრილი კრედიტის ინსპექტორთან, სახელდობრ ბ. ვიფორსთან. „სახალხო გაზეთი“ სიხარულს ეძლევა, რომ ერთს რუსის მოხელეს მწიფობის ატესტატი მიუცია ჩვენი ხალხი'ათვის, წვრილი კრედიტის საქმის შეგნების მხრით მაღლა დაუყენებია რუსეთის ცენტრალურ გუბერნიების გლეხებზე. მოხელეს უთქვამს, რომ ხალხი დაშორებულია ამ საქმეს, შესაფერ მონაწილეობას არ იღებდა სრულებით მინდობილია თაოსნებზეო.

ეს სინანული და მწუხარება ბ. მოხელესი სწორედ ნიანგის ცრემლებს გვაგონებს.

ნუ თუ თვით მოხელემ არ იცის, თუ რა უშლის ჩვენ ხალხს მეტი თაოსნობა და თვით-მოქმედება გამოიჩინოს. ქართველი ან ქართული ენის კარგი მცოდნე მოხელეები, რომ ყოფილიყვნენ ამ წმინდა სახალხო საქმეში, მაშინ სულ სხვა სურათს დავინახავდით. მაშინ გლეხობის და სხვა წოდების ის ნაწილი, რომელმაც მარტო ქართული იცის, ადვილად აწარმოებდა მთელ საქმეს თავის სამშობლო ენაზე. თორემ ახლა, როდესაც სარევიზიოდ და საკანტროლოდ მოდიან ისეთი პირები, რომელთაც ქართულისა არა გაეგებათ-რა, გლეხობა უნებურად შორდება თავისსავე საქმეს და საქმის წარმოებას ანდობს იმ პირს, რომელმაც რუსული ასე თუ ისე იცის და თაოსნობაც უკვე გამოიჩინა საკრედიტო ამხანაგობის დაარსების საქმეში. აი რა უნდა გახსენებოდა ბ. მოხელეს და თვით ინტერვიუერსაც. სწორედ ასეთი აზრი და მოხსენება უნდა წარუდგინოს თავის უფროსებს ბ. ვიფორსმა. თორემ მართლაც ცუდი მომავალი მოელის ჩვენში ამ სასარგებლო დაწესებულებას მეტადრე უფრო იმიტომ, რომ ჩვენ მოკლებული ვართ ერობას, ურომლისოდ განვითარება ამ საქმისა მეტისმეტად ძნელია.

მაგრამ სანამ ვეღირსებოდეთ ამ უკანასკნელ ნატვრის შესრულებას, ეს მაინც გვიწყალობონ, რომ ქართულის და საზოგადოდ აქაური ყოფა-მდგომარეობის მცოდნე მოხელეები დაგვინიშნონ, რომ ამნაირად საშუალება მისცენ მარტო ქართულის მცოდნე გლეხობას საკუთარი საქმე ქართულად აწარმოოს და თავის თავს თვითვე გაუძღვეს. თორემ ჩვენ ისედაც კარგად ვიცით, ჩვენი მშრომელი ხალხი ადვილად შემთვისებელია ახალი სასარგებლო საქმეებისა და სრულიადაც შეგნებული.

რუსეთის პრესა კავკასიის შესახებ.

დროა-გამოშვებით ჩვენ გადავსწყვიტეთ გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ის **უკუღმართი აზრები,** რომელსაც ავრცელებენ ჩვენი მხრის შესახებ რუსეთის გაზეთების თანამშრომლები.

პირველი ადგილი ამათ შორის ეკუთვნის, რასაკვირველია, ცნობილ ჰეროსტრატე-ჟურნალისტს ბ. „ზატერიანნის“ (ე. ი. გადაკარგულს).

ეს სინიდის-მიხდილი ვაუბატონი, როგორც ერთ დროს შავი ზღვის ნაპირზე საზიზღარ მიმართულების გაზეთს ბეჭდავდა, ქართველი-ჯამია მწერლად ითვლება.

იგი თავის უკანასკნელ 7 ოქტომბრის წერილში თბილისიდან (გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“), რომელსაც სათაურად აქვს „რა ხდება კავკასიაში“ ბრძანებს, რომ რევოლიუციონურ-უაჩაღური თავდასხმა სულ ძლიერდება და ძლიერდება თითქმის **განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ქართველობა მოსახლეობსო“.**

ამის უმთავრეს მიზეზად ეს „მწერალი“ სთვლის ეგრედ-წოდებულ „სათავად-აზნაურო პროლეტარიატს, რომელიც თანდათან მრავლდება“ მისი სიტყვით.

„უსაქმური ახალგაზდობა დღითი-დღე ნაკლებად იჩენს შრომის მოყვარეობას. იგი სრულებით მოუმზადებელია ინტელიგენციის. ირიდება ფიზიკურ მუშაობას ცრუ თავმოყვარეობის გამო, მთელს დროს ანდომებს სმასა და ქეიფს და არავითარ საშუალებას არ ერიდება ფულების შოვნისათვის. ყველა ეს უქმად მოხეტიალე უსწავლელნი და უბადრუკნი თანდათან ავსებენ „დრუჟინებს“ (რაზმებს), რომელნიც სახელით სარევოლიუციონი არიან, ნამდვილად კი წარმოადგენენ ყაჩაღების პარტიებს. იმათ იტაცებს, პირველად, ფულის ადგილი შეძენა, მეორედ, „პოლიტიკურ“ მებრძოლის შარავანდედი, თუმცა ამ საქმეს პოლიტიკისა არა სუნი-რა. სტატისტიკური ცნობების მიხედვით თავად-აზნაურთა რიცხვი, რომელნიც საბრალმდებლო სკამზე სხდებიან ცარცვა-გლეჯისა და ყაჩაღობისათვის, ფრიად დიდია“.

ამის შემდეგ, „ნოვოე ვრემიას“ სწორეუპოვარი თანამშრომელი გუნდრუკს უკმევს სიტყვებს: „სომხები აზიის ყველა ხალხებზე უფრო კულტურულნი, შრომის მოყვარე და განვითარებული ხალხია სომხებმა შეიგნეს ახლანდელი მომენტის სერიოზული მნიშვნელობა, მიხვდენ, რომ გაწვავებით, შოვინიზმით, კადნიერებით ჰეუძლიათ უფლო გაახელონ რუსის საზოგადოების აზრი“... „სომხის სარევოლიუციო პარტიები კავკასიაში ეს ორი წელიწადია არავითარ სიცოცხლეს არ იჩენენ იმ დროს, როდესაც ყველა ეს სოციალ-დემოკრატიული, ფედერალისტური, ტერორისტული და სხვა ქართული ორგანიზაციები კადნიერდებიან დღეობით კი არა, საათობით, ჰფიქრობენ, რომ ჯუტობით და იერიშით რასმე გაიტანენ“

ბოლოს ბ. ზატერიანნი ბრძანებს, რომ ყოველივის ხომ არ იქნება კავკასიაში ვორონცოვის რეჟიმი და აი „მაშინ ქართველი შოვინისტები, რომელნიც ასე კადნიერად ეურჩებიან რუსის მთავრობას და რუსის ნაციონალურ გრძნობასა, ინანებენ, მიხვდებიანო, თუ რამდენად საშიში იყო მათგან დაწყებული „საქმე“...

ასე ლაქლაქებს შხამიანი კალმის პატრონი და არასფერ დასდევს, რომ მის სიტყვასა და ჭეშმარიტების შუა უშველებელი სიდიდის საზღვარია. მაგრამ რა საჭიროა ამის შესახებ ბევრი ლაპარაკი. მან თვითონაც კარგად იცის ეს, ზედ-ჰიწევნით ასრულებს მხოლოდ რუსულ თქმულების მოთხოვნილებას:

«Мели, Емеля, твоя недѣля».

მახლას!..

მივიწყებული საქმე.

როგორც უკვე გამოირკვა, ბაქოს რკინის გზის დაინდგა მიჰყავთ ჩადგუნის უდელტეხადით. რკინის გზის კასეგანად საჭირო შტატები ინჟინრებისა და ტეხნიკოსთა უკვე შემდგარია და სცენა მაგ შეუდგებიან საქმეს. რუსეთიდან მოსულა რამდენიმე ბირი, რომ ლიც ამბირებენ თურმე დაინდგის სამუშაოებს.

ამნაირად ადგილობრივ ედემენტს ეცლება ხელიდან სამუშაო.

ნუთუ აქამდინ ვერ გაიხსენეს თავიანთი მოვალეობა იმ ბირებმა, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ ამხანაგობა-არტელის წესდების პროექტის შემუშავება?

დრო იყო ამისათვის რეგიონთ ეზრუნთ კაზაფხულზე არჩეულ კომისიის წევრებს.

ერთმა ამათგანმა ბ. ბ. ტუაგაძემ „სახალხო გაზეთის“ ხუთშაბათის ნომერში კარგი ბბ. წევრებს ეს საქმე და გუშინ მიიწვია ისინი სათათბიროდ.

ასე, რომ იმედია, აწ მოკლე ხანში ამ პროექტს შეამუშავებენ. უეჭველია, იგიეე ბირები შეუდგებიან მის განხორციელებას ცხოვრებაშიც, რომ შრომამ ტუალა-ბრალდად არ ჩაუაროსთ.

საბოქალაქო კანაფვილი წიწამურში

ნ. ძიძიგური „სახალხო გაზეთში“ სწერს რომ თვითონ ის, მსწავლებელი წითელიძე, მდგადელი ჯალიაშვილი და წინამძღვრიანთ-კარის სკოლის რამდენიმე მოწაფე ამას წინად მიდიოდნენ მცხეთიდან წინამძღვრიანთ-კარის სკოლისაკენ, გასულან არაგვში და, **წიწამურზე** რომ გაუვლიათ, ჩამომსტარან ამ ადგილას, სადაც ბორტმა ხელმა საქართველოს საუკეთესო შვილი ვერაგულად მოაშორა თავის ისედაც დაჩაგრულ ქვეყანას.

ამ ადგილს ამ ჯამად ამართულია შავი ჯვარი, რომელიც წერილის ავტორის გაკვლის დროს შემკული ეთვალიეთ ტოტსად ეკავიდა-

ბიზგან გაკეთებულ ტირკვინით. სწორედ ამ ადგილს, სადაც დადებულ იყოს სისხლი დანითხა, ქვა არის ჩაგდებული მაწაში.

მსწავლებლის ფასდადებით ოთხეულის წარმოუთქვამთ დაუფიქრარ მკოსნის ლექსები.

ამ სათაურსებულ ადგილს, სადაც უკანასკნელად კაშოეშვიდდობა სახელოვანი ქრთველი თავის სავერულ სამშობლოს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ავტორზე, რომელიც ბერველად ეოფილიეო იქ, მას მუხლები ეკეტებოდა, სათაყვანებლად უწევდა გული და სურდა ეამბორა ლელიშვილისთვის“.

ასე ეოფილიენენ კაჩერებული რამდენსამე ხანს.

მერე დასადეფლიანებულნი ჩამსხდარნ ეტლში და კასდგამიან თავის გზას.

ჰატარა ფელეტონი

ახირებული ია?!

ბატონო რედაქტორო, ნება მომეცით თქვენც გაგიზიაროთ ის უცნაური ამბები, რომელიც ამ ცოტა ხანში ჩვენს დალოცვილს გურიაში მოხდა *).

აქ არის ერთი აზნაური მგელაძე. კაცი პატივცემული და გამოჯახრაკებული ზოგიერთ საქმეში. ეს დიდად პატივცემული გვამი თავის მხრითაც ყველას პატივის-ცემით ეპყრობა; მაგრამ ამ ბოლოს დროს ერთი ცუდი ზნე დასჩემდა, **თავის გვარს უარობს**. აიჩემა და გაიძახის; „მე აზნაური მგელაძე კი არა, მეშჩანინი ოლოკოვი ვარო“. შინაურებსაც და გარეულებსაც ასეთი მისი განცხადება არ ეჯაზნიკათ, ცუდ ნიშნად მიიღეს. მაინც სცდეს მისი დამშვიდება, არწმუნებდნენ, რომ ის ნამდვილი, ტახტის აზნაურიშვილი მგელაძე და არა უბრალო, მეშჩანინ ოლოკოვი; მოუყვანეს საბუთები, შამის გვარი, ბაბუასი, ნათესაობისა, მაგრამ არაფერი ეშველა, ვერაფერმა გასჭრა. მეტე ეცადნენ, დაერწმუნებინათ ეს ახირებული ვაუბატონი, რომ მაინც და მაინც აზნაურობა სჯობია მეშჩანინობას სასახელოდაც და ვასაციმბირებლადაც, მაგრამ ვერც ამან იმოქმედა, ვერ შეარყიეს მისი შეხედულობა თავის გვარეულობაზე.. ბოლოს უკანასკნელ ხერხს მიმართეს: მოუტანეს საეკლესიო წიგნები, სადაც ყველანი ისე იხსენებიან, როგორც იწოდებიან და დაუდეს ხელი, რომ იქაც აზნაურ მგელაძედ არის ჩაწერილი და არა მეშჩანინ ოლოკოვად.

აქ კი ჩვენი გმირი, თითქოს ეონს მოვიდაო, წამოხტა... ყველას ეგონა, გვეშველაო, ეხლა კი დაგვაბეულდება ამ საბუთზეო,—მაგრამ მათს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც დაინახეს, რომ მგელაძე—ოლოკოს სიბრაზით

*) უკაცრავად ნუ ვიქნები ავტორთან ეს უნდა მოვახსენო, რომ გურიაში მგელაძეები ძალიან ბევრნი არიან, ე. ი. ხალხმრავალი გვარია. ასოთ ამწ. შენიშვნა.

ტლუ-ბიჭი *)

თქვენ იბრძოდით; მე კი ნავი
ყუმბარებმა დამიმსხვრია.

* * *

თქვენ რომ უნაყოფოთ აქნევთ მარაოს, სოფლად ერთს შეიშრიალებს ცაცხვი და მოგბერავთ მაგრილებელ სიოს.

როცა ქალაქში ამოვარდნილი ქარი აიტანს ქვეყნის მტვერს და თვალებს გვჭამს, აქ მოლაზე მოყრილი ბრილიანტი —ცვარი ათასფრად ბრჭყვიალებს.

როცა დამპალი და დაობებული, ტალახიანი ქუჩები უეცრად დაიწყებს შრობას, მათი ოხშივარით სული გვეხუთება, აქ ყვავილები, ხეები საამო სურნელებას ჰფენს არე-მარეს.

როცა ქალაქში თმა-ჩაქსოვილი, მოკოპწიაებული „ბარიშნა“, ვითომცდა უმწვერვალესის სიყვარულით აღგზნებული დაიწყებს რომანსს:

...პოეზია, ჰარმონია
მხოლოდ შენ ერთს,
მხოლოდ შენ ერთს...,

სოფლად წყაროს პირზე მდგომი გოგო, კოკით ხელში, გულ-გადაღეღილი, სახელო გადაკაპიწებული, მოკლე კაბით, უწადო და უწინდო, თავდახრილი უხმოთ გიმღერისთ წარმოუდგენელს ჰიმნს სიყვარულისას.

ქალაქში მჭერმეტყველებას მოკლებული სიტყვების რახა-რუხით ქვეყნის ტანჯვა-ვაების დახატვას ლამობს და თავს გვიბრუებს ხმის სიმაღლით და აზრის სიმცირით, აქ ახალგაზრდა ბიჭი ერთს ამოიოხრებს, წელზე ხელს დაიდებს და გეტყვისთ: ,,ქალბრიც კი გამიყიდეს“. და მთელი საპირბოროტო კითხვა ათასთა დასურათხატებულია.

ვინ მოშორდებოდა ამ ჩემთვის სამოთხეს, სხვებისთვის კი ლამაზს სოფელს, რომ... რომ ქალაქის კლანჭები ორბის ნისკარტზე უფრო მჭრელი არ იყოს და სოფლის ძალა იაზე უფრო ნაზი.

1.

დილას, როცა ჯერ კიდევ თხელი ნისლი ადგია ქვეყანას, აყლუტულდება ხეები. სიო ზანტად ცეკვავს, ირხევა. კვი-

*) მოთხრობის დედა-აზრს არ ვეთანხმებით
რედ.

აკაკის ლექსები *)

დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილს,

სამართლეს ვამბობ, როგორც მგოსანი
და თუ ტუფლი ვისმეს ჭეროსა,
სჩანს, რომ პირადად მე ის ვერ მიცნობს
და სხვისგან რამე გაუგონია.

მდიდარ-დარიბი, ხარისხოვანი
და უხარისხოდ ჩემთვის ერთია!
სადიდებელი და სათაყვანო,
რომ განვასხვავო, მხოლოდ ღმერთია!

შენ მე ვერ მიცნობ, მაგრამ მე გიცნობ!..
დიდი ხანია, რაც გიყვირდები!..
შენ იმას აძლევ ამ ჩვენს ქვეყანას,
რასაც არ ამობთ და არ ჰიმდები.

სიქმე კეთილი რომ გამომჟღავნდეს,
შენ ერადები... ეკრძალვი ქებს,
და ვით მორწმუნე მტკიცედ ასრულებ
სიქრისტიანოს მით სახარებს:

„რასაც რომ გასცემს შენი მარჯვენა;
არ ატყობინებ იმას მარცხენას!
ნუბას არ აძლევ, რომ წაიტანოს,
შეკავებულსა სიმდაბლით, ენას.

მაგრამ უნდა ვსთქვათ, არ არის ძნელი
რომ შეასრულო შენც შენი ვალი;
რადგანაც შენთვის ბევრს მოუცია
თანამოაზრედ ქართველი ქალი.

ზოგჯერ ეს შენაც არ გიტყობიხებს
ისე გამოდის ქველის მომქმედად,
გაჭირვებულის მომხმარებელად,
ქვრივების დათ და ობლების დედათ.

დიდი ხანია ერთათ ეწევიო
სიამტკბილობას და შეუდლებს?
მართლა რომ ესეც საკვირველია!—
დღეს ვინღა დასდევს ცოდ-ქმრის უფლებას?

ტუდი დრო დადგა, ცხოვრება წასდა!
ათასში ერთი თუ ინეტარეს!
მაგრამ გულწრფელად ისე, როგორც შენ
ის მეათასედ ვერ გაიხარებს.

კანგებამ მოგცეთ სუფლიფერი!
ნუ სწუხარ, იმის, რომ ხართ უმფლოო;
ნუ თუ არ კმარა შეიალად და ძირად
თქვენთვის სამშობლო და საქართველო.

იტოტხეთ დიდხანს! იმხიარულეთ!
ბედნიერი ხარ ორთავ ტოდ-ქმარ!..
ამის გულწრფელად ვამბობ მგოსანი
და ამისგე ყერის ეს ჩემი ქნარი.

*) ეს ლექსები ჩვენ მივიღეთ განსვენებულ დავით სარაჯიშვილის ოჯახის ერთი მეგობრისაგან. ვბეჭდავთ, რადგანაც ჩვენი დაუვიწყარი მრეწველის პიროვნება ნამდვილად არის დახასიათებული. ხსენებულ მეგობრის სიტყვით ლექსები დაწერილია იმ დროს, როდესაც დ. სარაჯიშვილმა დაამოკვა თავის მშვენიერი შენობა, რომელიც ახლა უანდერძა ქალაქს საშინაურო გალერეის გასამართავად. თუ არ ვცდებით, ამ შენობის კურთხევის დროს, 1905 წ. აპრილის პირველ რიცხვებში გამართულ მეგობრულ ნადიმზე წაიკითხა ეს ლექსი თვით მგოსანმა. ამ ნადიმს დაესწრო აგრეთვე განსვენებული ილია ჭავჭავაძეც. მეორე ლექსი „ნათლიას“ ბ. აკაკის დაუწერია იმავე დროს ბ. ვანო მაჩაბლის შვილს, ნიკოს, რომლის ნათლიად იყო განსვენებული დ. სარაჯიშვილი. ნათლულმა ეს ლექსი მიართვა და წაუკითხა თავის სახელოვან ნათლიას. **რედ.**

ნ ა თ ლ ი ა ს.

დიდი ხანია ქართველი ანგრევს,
არ თუ აკეთებს და აგებს რაშეს!..
გამოურკვევლათ, პირადდებული,
ხარბათ შეჭეფრების სხვების სიამეს.

გულსა და თვალს სწრაფ მისი შეზიზღის
კეთილდღეობა და წარმატება.
და მისი ქნარიც სხვებისთვის ჟღერს:
გასმენა სხვების ,,ძებათა-ქება“.

თითქოს ამითი სურს, რომ თავის ერს
მოთხოვნილება გაუგებინოს
და მაგალითიც შეზიზღებისგან
დაბეჭვებულს ასდებინოს.

მაგრამ ამათად! მარტო ეს არის
განა დღეს ჩვენი გულის ტკივილი?
ვინც რომ ეუფლიზე ნამეტანს ჭეფრის,
ის არის ჩვენში ,,შამეტლის შვილი“.

და ამსაირად კალაეიქეტით
ჩვენ მხოლოდ სიტყვად და მხოლოდ ენად!
ვეფერით იქ, სადაც გადის ეფერილი,
ჩვენნიეე თავის ეაბოსჩენად!..

რა გამოვიდა ტარიელ სიტყვით,
თუ არ ეჯობა, სიქმეშ არ სძლია?..
მაგრამ სიქმის კაცს ჩვენში ვერ ვხედავთ?
ითვალთია, ჩემო ნათლია!..

და იმათ რიცხვში შენც ურეკიხარ,
ჩემი მომქმედი და უსიტყვეკელი.
ბენეკას შენში გაბოუხტავს
დარბაისელი ძველი ქართველი!

დღეს ჩვენში ეველა ანგრევს და ჭეიდის,
რაც დაგვრჩენია ანდერძად ძველთან!
და სასიდელსაც სამგეერეს
ადარას ვეძებთ!.. ადარას ველთან!..—

შენ კი, ნათლიავ, არ თუ არ ჭეარგავ,
ხარ ძველებურად მხოლოდ შემძენი!
და სოფლის ბრუნვას შეჭეფრეს ისე,
ვით კაზოდღიდი მოხეტი, ბრძენი...

ეი დღესაც ამას გვიტეტენებს
ამ შვენიერი სახლის ეგება...
ეს არის ჩვენი შიმავალში ხსნა
და მას ეკუთვნის ,,ქებათა-ქება“.

რომ ამ მაგალითს სხვებაშეც მიჰბაძონ,
ჩაჭედონ ხელი თავის მიწა-წყალს!..
მაშინ კი, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ,
მოიმზადებენ კეთილ მომავალს!

შენი მეუღლეტ ულდის. გამწევი,
თანამშრომელი არის, ნათლია,
და ამიტომაც, რასაც ეკეთებს,
ყველგან სიმტკიცე, ეველგან მადლია.

იტოტხეთ დიდხანს. იმხიარულეთ,
ეაბედნიერად, ჩემო ნათლია!
ის მოგცეთ ღმერთმა, და მით შეგვნოსთ,
თუ დღეს ოქვენს ოჯახს რამე აკლია!

ეკატერინე სარაჯიშვილისას.

თვალ-ხილული ვერ გხედავდი
რომ დაგბრმავდი ახლა გხედავ
და, გულში რაც ჩამსახეია,
ამის თქმასაც უფრო ვბედავ.

შემოეკარდა, როგორც შვილი,
როგორც და და მეგობარი!
ვაჭ ამბს, ვინც ბოეტი
ასმღერა ტოტხალ-მეკადარი. *)

*) ეს პატარა ლექსი ბ. აკაკიმ წაუწერა თავის

ივანე ელიაშვილი.

სიტყვის უმეტესეკლებობა, ნაჭეერების ხასწორ-ხაზობაა. ნაჭეერება ორი-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანშვილს უწერავს. ამას, ზეშო მოტანილ მწერლობის კანონისათვის არ კადაუხვევია. რასაც მისი სვემაწვალო წიგნაკი „სამშობლო ბუნების სარკე“ გვიმტკიცებს და რასაც გარჩევას ჩვენც შეუდგებით!.. ემაწვალებისათვის ის არის გამოსადეგი და სასარგებლო, რაც არც დადებს აწუენს! სწორედ ამ კალამტოზეა გამოწერილი ბ. ივანე ელიაშვილის სუმაწვალო წიგნი, რომელისთვისაც სახელიც შესაფერი დურქმე

ქიზიეი, სიდარიბით უკიდურესობამდის მივიდოო!..—ქიზიეს რაც უნდა ნაკლები მოსავალი ჰქონდეს მაინც იმდენი მოუვა, რომ წლითი წლამდის თავპირზედ საყრელად ეყოს, მარა ნახევარ წალმდისაც არა ჭეოფნის და დანარჩენს დროს სიმშილში ატარებს გაჭირვებული ქიზიეი, რამდენადაც უნავად მხვნელ-მთესველია, მრავალი ტნვარი და ძროხის პატრონი, მრავალ რიტხვოვანი ოჯახის პატრონი, იმდენი მისი ტნოვრება, ეოველგვარ საჭიროებისთვის გაკიდებულ ხარჯს, ფულს თხოულობს, მას კი აქვს ერთად-ერთი თავისი ნაშრომი ბური, რომლითაც უნდა გასტეს ეოველისფერს პასუხი: ოჯახის ჩაცმა-დახურვა, თუ ქორწილი, საკვადილი, ნათლობა, ეკლესია, მდვდელი მნათე, მამასახლისი, მწერალი, გზირი, ფოშტის ფული, მასწავლებელი, „ლესნიჩი“ (ტეის ზედამხედველი) „აბესჩიკი“ (ტეის ურაული). მინდვრის მეკვლე დ. მოკვლე. აი, ეკვლა მთ, გაკვლვის უმაღზოკს უნდა მისტეს ბური, ზოგისთვისაც გაიკიდოს იგივე ბური და მისტეს ფული, რომელთა შემდეგ ბლომა ჭირნახულის პატრონი, სიგნე ბელდების მქონე რჩება კამოფხეკილი, ტარიელი, მშიერი. ამგვარად, ავი და კარგი, საკვადილი თუ საცოტლე აჭკიდებია ერთად ერთ ბურს და სხვაგვარი წარმოება ფულზე დახურდავებული, კარ-ჩაკეტილ ბირობებში კეკდება შეუნიშნავო, ჭქრება უსარგებლოდ. ქიზიეს შეეძლო არსებულ ნახნავების როდენობისთვის კიდევ მეემატებინა და ამგვარად მოსავლის მიმატებით ანტიდებოდა მას შიმშილი, მარა უკანნ მხარ შარაქის მამულები ისე შორ მანძილზეა. რომ ხელმოკლე სალხი ან სრულიად ვერა ჭხნავს, და ან თუ ხნავს ძალიან მცირე ნაწილს. ამიტომ ამ მამულებით ე